არაფორმალური განათლების განვითარების ხელშეწყობა სწავლების საბაზო-საშუალო საფეხურზე

ლიკა მღებრიშვილი, გურანდა ზიბზიბაძე, თამთა შამუგია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტის ზოგადი განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი- სოფიო გორგოძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

მადლობა

დიდი მადლობა გვინდა გადავუხადოთ, სსიპ პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლის დირექტორს ქალბატონ სალომე აბრამიშვილს, გაწეული დახმარებისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. ამასთანავე, მადლობას ვუხდით კვლევაში ჩართული ხუთი საგნის (ქართული, მათემატიკა, გეოგრაფია, ბიოლოგია, ისტორია-სამოქალაქო განათლება) მასწავლებელსა და მოსწავლეებს (VIII,X,XI კლასები), რომლებიც აქტიურად იღებდნენ მონაწილეობას კვლევის ყოველ ეტაპზე და დროულად ერთვებოდნენ განხორციელებულ აქტივობებში.

განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ, ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს ქალბატონ ნათია ანდღულაძეს და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს ქალბატონ - სოფიო გორგოძეს, რომლებიც დროს არ იშურებდნენ ჩვენთვის და გვაძლევდნენ რეკომენდაციებს, რაც დაგვეხმარა კვლევის ეტაპების სწორად წარმართვაში.

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

ლიკა მღებრიშვილი

გურანდა ზიბზიბაძე

თამთა შამუგია

30.06.2022 წელი

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს სსიპ პაოლო იაშვილის სახელობის საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ არგვეთის საჯარო სკოლაში ჩატარებული პრაქტიკის კვლევის ანგარიშს, თემაზე - არაფორმალური განათლების განვითარების ხელშეწყობა სწავლების საბაზო - საშუალო საფეხურზე. არაფორმალური განათლება ბევრ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ერთ - ერთი მთავარი გამოწვევაა, სწორედ ამიტომ ჩვენი კვლევისთვის მნიშვნელოვანია ამ მიდგომის გაძლიერება მოცემულ სკოლაში.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო არგვეთის საჯარო სკოლის პედაგოგებთან და მოსწავლეებთან ერთად, ხელი შეგვეწყო არაფორმალური განათლების განვითარებისათვის სწავლების საბაზო-საშუალო საფეხურზე. პრაქტიკის კვლევის პროცესში გამოვიყენეთ როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი მეთოდები. დიაგნოსტირების ეტაპზე, ფოკუს ჯგუფი ჩავატარეთ სკოლის ხუთ მასწავლებელთან, დირექტორთან და მოსწავლეებთან. ჩაღრმავებული ინტერვიუ განვახორციელეთ ექსპერტთან. მეორე ეტაპზე, გამოვიყენეთ სტრუქტურირებული კითხვარი მოსწავლეებთან. ინფორმაციის მოპოვების საფუძველზე მოხდა პრობლემის იდენტიფიცირება. გამოიკვეთა, რომ სჭირდებათ არაფორმალური განათლების მიმართულებით მეტი პრაქტიკული ცოდნის გაზიარება, კოლაბორაცია საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების გაძლიერება და სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ დავგეგმეთ და განვახორციელეთ ინტერვენციები. მათი შეფასების მიზნით ჩავატარეთ ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან და სკოლის დირექტორთან, სტრუქტურირებული კითხვარით გამოვკითხეთ მოსწავლეები.

განხორციელებული ინტერვენციების შედეგად გაიზარდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა ინტერესი არაფორმალური განათლების პროექტებისა და კლუბური მუშაობების მიმართულებით. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლები გაწევრიანდნენ “SALIS”-ის ვებ-გვერდზე. მათ გააცნობიერეს, რომ მცირე რესურსებითაც შესაძლებელია საგაკვეთილო პროცესის გამრავალფეროვნება და დაიწყეს თეორიული

ცოდნის პრაქტიკული ცდებით გამყარება. გაიზარდა თანამშრომლობითი გარემო და განხორციელდა რამდენიმე სკოლასთან კოლაბორაცია. მოცემული ინტერვენციები სკოლას დაეხმარება პროექტის მდგრადობაში, პრობლემის მოგვარებასა და სამომავლო გრძელვადიანი მიზნების დაგეგმვაში.

საძიებო სიტყვები: არაფორმალური განათლება, მასწავლებელი, პროექტები, კლუბური მუშაობა, კოლაბორაცია, მოტივაცია, თანამშრომლობითი გარემო.

Abstract

The paper is the report of the action research conducted in the LEPL Paolo Iashvili public school of Argveti village, Sachkhere municipality, on the topic of non-formal education at the basic and secondary levels. Developing non-formal education is a major challenge in many countries, including Georgia, and that is why it is critical for our study to help the school develop in this direction.

Our study aimed to facilitate the development of non-formal education at the basic-secondary level with the teachers and students of Argveti Public School. We used both qualitative and quantitative methods in the action research process. During the diagnostic stage, we held a focus group with teachers, the principal and students from the school. We conducted an in-depth interview with an expert. As a second step, we used a structured questionnaire with the students. The problem was identified based on information retrieval. It was revealed that there is a need to share more practical knowledge in the field of non-formal education, collaborate with educational organizations, enhance the non-formal educational activities in natural sciences, and establish a cooperative culture in schools. After identifying the problem, we planned and implemented the interventions. To assess them, we conducted a focus group with teachers and the school principal, interviewing students with a structured questionnaire.

As a result of the interventions, the interest of teachers and students in non-formal education projects and club activities has increased. The teachers of natural sciences have joined the specialized "SALIS" website. They understood that even with limited resources, it is possible to diversify the teaching process and begin to solidify theoretical knowledge through practical experiments. Collaborations with other schools have improved the collaborative environment. These interventions will help the school with project sustainability, problem-solving, and planning the long-term goals.

Keywords: non-formal education, teacher, projects, club work, collaboration, motivation, collaborative environment.